2593
3

სარგის კაკაბაძე

დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა

ტფილისი
ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკუთ. სახ. №ნ.
1913

დავით აღმაშენებლის მემატიანის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა თ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ 1892 წ.[1]) მისის აზრით, მემატიანე დავით აღმაშენებლის თანამედროვე პირია, ღრმად განათლებული და შესაძლებელია იყვეს ან თვით კათალიკოზი იოანე, ან სვიმონ ჭყონდიდელი და ან არსენი იყალთოელი. ამ პირთა შორის არსენი იყალთოელი მიცვალებულად მოხსენებულია რუის-ურბნისის ძეგლის წერის დროს 1103 წ. ახლ. [2]) და ამიტომ ის ვერ იქნებოდა დავით აღმაშენებლის მემატიანე, რადგან მატიანე, როგორც ცნობილია, მოყვანილია მეფის გარდაცვალებამდე. არსენი იყალთოელის მემატიანობა თვით თ. ჟორდანიას საეჭვოდ აქვს მიჩნეული. მატიანეში მოხსენებულია „არსენი იყალთოელი, თარგმანი და მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა-ენათა და განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა.“ ასეთს თავისს ქებას არსენი არ იკადრებდაო — ამბობს ბ. ჟორდანია.

რომ მემატიანე დავით აღმაშენებლის თანამედროვე პირია, ამისი საბუთები მოყვანილი ჰქონდა თ. ჟორდანიასაც. მატიანეში ნათქვამია დავით აღმაშენებლის გამეფებამდის გადამხდარ აოხრებათა შესახებ სამღრთო წერილიდან ერთს ადგილთან შედარებით, რომ „ესე ყოველი მოიწია და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვითარმცა ვინ წარმოსთქუა თუითოეულად, რა დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი“[3]).

მემატიანე, როგორც სხვა ადგილებიდან სჩანს, თვით მეფესთან დაახლოვებული პირი ყოფილა. კახეთის დაპყრო-

[1]) ქრონიკები I, XLII,—XLVI.

[2]) ქრონიკ. II, 72

[3]) ქართლ. ცხოვ., I, 239.

ბისას მეფემ საშინლად დაამარცხა შეერთებული კახთა და თურქთა ჯარი. მეფე ისეთის გაშმაგებით იბრძოდა, რომ „კრძლითა მისითა უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსედ ეტვირთნეს. რაჟამს შემდგომად ომისა გარდაკდის და სარტყლისა გახსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყანად რა დაითხია ესეოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თუით მისგან ვჰგონებდით გამოსრულად.“ [4]) „ჭეშმარიტად ვერცა ერთ ამთგანი (ალექსანდრე მაკედონელი, აქილევი და ბაჰრამ-ჯური) შეუსწორებდა ამას ვითარცა გვიხილავს“ [5]) „მრავალ გზას გვიხილავს იგი დამლტობელად ღაწვთა თუისთა ცრემლითა ხილვასა ზედა თუითო სახეთა სენთა მიერ განცდილთასა.“ [6])

მატიანე დაწერილია შემდეგ ტფილისის აღებისა 1122 წელს. „ქალაქი ტფილისი, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყვანებულიყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა“ [7]). მეორე ადგილიდან კიდევ ცხადია, რომ მატიანე დაწერილია მაშინ, როდესაც გელათის ტაძარი უკვე დამთავრებული იყო. „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა... ადგილსა ყოველად შვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა... რომელი ზესთა ჰმატს შვენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქნილობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანა მოწამედ ჰქონან თვალნი ყოველთა კორციელთა მხედველთანი.“ „რომელიცა (გელათი) ან წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად...“ [8]) გელათის ტაძარი კი დამთავრდა 1130. წელს [9]). აქედან ცხადია, როგორც უკვე შენიშნა თ. ჟორდანიამ, რომ დავით აღმაშენებელის მატიანე დაწერილია შემდეგ 1130 წლისა. რომ მატიანე მართლაც დავით-აღმაშე-

[4]) ქარ ცხ., I, 243 [5]) იქვე, I, 254 [6]) იქვე, I, 257
[7]) იქვე, I, 254 [8]) იქვე, I, 243
[9]) ქრონიკ. I, 246.—248.

ნებლის სიკვდილის შემდეგ არის დაწერილი, ეს ცხადად სჩანს კიდევ შემდეგ გარემოებიდან. 1132 წ. დავით აღმაშენებელმა შარვანზე გალაშქრების შემდეგ „გამგებელად და ზედა-მხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა (შარვანისა) აჩინა მწიგნობართა-უხუცესი თუისი სუმონ, ჴყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოზი, მაშინ ბედლ-ალავერდელი.“ მწიგნობართა-უხუცესი სვიმონ ამ დროს მართლაც ბედიელ-ალავერდელად იყო, ეს ცხადად სჩანს დავითის ანდერძიდანაც [10]). მატიანის დაწერის დროს კი ის უკვე ჴყონდიდლად ყოფილა, რაც დავითის გარდაცვალების შემდეგ იქნებოდა. ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ, ვინ უნდა ყოფილიყო მემატიანე. თავისს თხზულების ერთს ადგილას მემატიანე ამართლებს დავით აღმაშენებლის სიჭაბუკის შეცოდათ და ამბობს: „ნუ მეტყვი მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელი არცა ღმერთმან მოიხსენნეს. უწყი ჭეშმარიტებით, რაჟეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმენდილითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა, თანამოწამებითა სჳინდისისათა და არა მხილებითა გონებისათა და რომლისა მოწამე არს სარწმუნოება იგი ცათა შინა“ [11]) ამის დაწერა შეეძლო მხოლოდ თვით მეფის მოძღვარს, რომელიც მეფისაგან აღსარებას ღებულობდა უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში. რადგან დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 24 იანვარს 1125 წ., მაშასადამე მემატიანე მეფის მოძღვრად ყოფილა 1115—1125 წლებში. ვინ უნდა ყოფილიყო ეს მოძღვარი? ეს არ უნდა იყოს ის იოანე მოძღვარი, რომელიც მოხსენებულია მატიანეში— „თუისსა მოძღუარსა იოანეს მისცა ოდესმე დაჰკანი ვითარ ოცდა ოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა“ [12]) —რადგან აქ იოანეზე მესამე პირით არის ნათქვამი. მემატიანე უნდა იყოს

[10]) ჩემი გამოცემა-ანდერძი დავით აღმაშენებლისა, 13.

[11]) ქარ. ც-ბა, I, 256. მარ. დედოფ. ვარ. 320.

[12]) ქარ. ც-ბა, I, 257.

არსენი მეფის მოძღვარი, მოხსენებული დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომელიც დაწერილია შიომღვიმისათვის მისი მეფობის უკანასკნელ წლებში. (იოანე ალბად იქნებოდა წინამოადგილე არსენისა). „მე დავითს მაწვიეს ჟამსა ჩემსა შარავანსა ზედა გამართვისასა, შევევედრე შეწევნად ჩემდა მესაველრებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს... და სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა.“[13])

რომ მემატიანე სამღვდელო პირია ეს, თ. ჟორდანიას სიტყვით, ყოველ სტრიქონში გამოკვირვალებს. „მთელი მისი მოთხრობა აღბეჭდილია ღვთის-მეტყველურის ბეჭდით. მოქმედება მეფისა განყოფილია ორ ნაწილად: სახორციელოდ და სასულიეროდ. უკანასკნელს უჭირავს თითქმის ნახევარი მატიანისა და გვიხასიათებს მეფის ღვთისნიერებას. შესავალიც ღვთის მეტყველური ხასიათისაა. თვით სახორციელო ნაწილიც უმეტეს ყურადღებას აქცევს არა საეროვნოს, არამედ სასულიერო საქმეებს მეფისას. ხოლო სახორციელო „სკიანობა“ მეფისა, მემატიანეს აზრით, შედეგი იყო ანუ „სანაცვლო“ იყო მისის ღვთისნიერებისა, გინა ნაყოფი მისის სულიერად წარმართებისა.“[14])

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. მემატიანე თავისს მატიანის პირველ ნაწილში ძლიერ მოკლედ მოგვითხრობს ისტორიულ ფაქტებს, ქრონოლოგიური ცნობებიც იშვიათად ან სრულებით არ მოყავს. 1115 წლიდან კი მემატიანე უფრო დაწვრილებით აღწერს მეფის მოღვაწეობას, წლითი-წლად მოგვითხრობს მეფის ლაშქრობათ. ეს გარემოება ჩინებულად ამტკიცებს ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მემატიანე უნდა იყოს არსენი ბერი, რომელიც 1115 წლიდან დავით აღმაშენებლის მოძღვრად ითვლებოდა.

[13]) ჩვენი გამოცემა—ანდერძი დავით აღმაშენებლისა. 5.

[14]) ქრონიკ. I, XLV

ამ არსენის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ საძიებელია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემის აზრით მას უნდა ეკუთვნოდეს რუის-ურბნისის კრების დროს დავით აღმაშენებლისათვის მირთმეული შესხმა — „მეფესა დავითს მონაზონი არსენი.“ [15]) თავისს შედარებით მოკლე მატიანეში არსენი საკმაოდ ვრცლად აღნიშნავს რუის-ურბნისის კრების მოწვევას, რაიც, შესაძლებელია, თვით არსენის იმ კრებაზედ თანადასწრებას მიეწეროს.

15) ქართ. ძვ. ლეგენდები და თქმულებანი, ტ. II, გვ. 75—79